სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/97

ქ. თბილისი 30 ივნისი 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული რებრენდინგის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანის, პროფესორ ნიკოლოზ შავიშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი „დიზაინ-აზროვნების სატესტო ლაბორატორია - დასტა ლაბის" (შემდგომში ლაბორატორია) წინადადება სტრატეგიული რებრენდინგის შესახებ (იხ. დანართი).
2. დაევალოს ლაბორატორიას ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად წარმოადგინოს წინადადებები შემდგომში შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით:
   I. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რებრენდინგი, რომელშიც შედის 2022 წლის 16 იანვარს სტუ-ის 100 წლისთავთან დაკავშირებული გარკვეული მოსამზადებელი ღონისძიებები.
   II. სასწავლო პროცესის მართვის ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვის მიზნით ოპტიმალური შემსრულებლების იდენტიფიცირება.
   III. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალი ვებგვერდის შექმნა და გაშვება.
   IV. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მობილური აპლიკაციის შექმნა და გაშვება.

3. ეთხოვოს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) აღნიშნული დადგენილების დამტკიცება. საკითხს წარმომადგენლობით საბჭოზე (სენატი) გაიტანს დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანი, პროფესორი ნიკოლოზ შავიშვილი.
4. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს და დეპარტამენტებს სტრატეგიული რებრენდინგის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ჯგუფისთვის.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**